ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №33

2012 წლის 29 მარტი,
ქ. ბათუმი

**„რსუ–ს ზეპირი და წერითი გამოცდების ჩატარების შესახებ“
დებულების დამტკიცების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და რსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, რსუ–ს საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „რსუ-ს ზეპირი და წერითი გამოცდების ჩატარების შესახებ დებულება“ **დანართი 1**-ის შესაბამისად;
2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე, დაეგზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს, მართვის ორგანოებსა და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

დებულება ზეპირი და წერითი გამოცდების
ჩატარების შესახებ

მუხლი 1. დებულების მიზანი

1. დებულება უზრუნველყოფს სწავლების ყველა საფეხურზე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ერთიანი პროცედურით ორგანიზებასა და ჩატარებას;

2. წინამდებარე დებულებით ხელმძღვანელობა სავალდებულოა რსუ–ს ყველა ფაკულტეტის, აკადემიური პერსონალის (სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორები), მასწავლებლის, მოწვეული სპეციალისტის, ადმინისტრაციის თანამშრომელისა და სტუდენტებისათვის.

მუხლი 2. გამოცდების ჩატარების პროცედურა

1. საგამოცდო აუდიტორიაში უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც სტუდენტი დატოვებს ჩანთას, წიგნს ან/და ნებისმიერ სხვა ნივთს, რომლის გამოყენებაც გამოცდის მსვლელობისას არ არის ნებადართული. პირადობის მოწმობის წარმოდგენის გარეშე სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება (ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2012 წლის 25 მაისის №88 დადგენილებით);

2. შუალედურ/დასკვნით გამოცდას საგნის მასწავლებელთან ერთად უნდა ესწრებოდეს დამკვირვებელი;

3. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია შუალედურ/დასკვნით გამოცდას დააკვირდეს ვიდეოთვალის საშუალებით;

4. საგამოცდო მასალის (ბილეთი, ტესტი და სხვა) დარიგებამდე მასწავლებელს უფლება აქვს შეხედულებისამებრ განათავსოს სტუდენტები მერხებთან;

5. საგამოცდო მასალის დარიგებამდე მასწავლებელი/დამკვირვებელი ვალდებულია სტუდენტებს გააცნოს გამოცდის ჩატარების პროცედურა (მუხლი 2. პუნქტი 6–13) და შედეგების გასაჩივრების წესი (მუხლი 5);

6. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე იკრძალება მობილური ტელეფონით სარგებლობა. იგი გათიშული უნდა ყოს სპეციალურად გამოყოფილ მაგიდაზე. აკრძალულია მობილური ტელეფონის ან სხვა რაიმე ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება კალკულატორის ნაცვლად. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - ,,0''.

7. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე აკრძალულია სამუშაო მაგიდაზე პირადობის მოწმობის, კალკულატორისა და საგამოცდო მასალის გარდა რაიმე ნივთის დადება. ამ წესის დარღვევისას სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში კი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - ,,0''.

8. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე აკრძალულია: გადაწერა, ე.წ. ,,შპარგალკის'' გამოყენება. დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - ,,0''. „შპარგალკად'' შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სახის მატარებელზე (ქაღალდი, ელექტრონული (მობილური ტელეფონი და სხვ.) და ა.შ.) დაწერილი თუ ჩაწერილი საგამოცდო საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე ნებისმიერი სახის ფურცელი, თუ იგი არ არის გაცემული საგამოცდო დავალებასთან ერთად, ან არ აქვს დამკვირვებლის ხელმოწერა.

9. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე აკრძალულია: ხმამაღალი და ხელისშემშლელი საუბარი, სხვა პირისაგან დახმარების მიღება, საგამოცდო მასალის განზრახ დაზიანება, კარნახი, ნებართვის გარეშე აუდიტორიაში მოძრაობა, ქცევით გამოცდის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა. აღნიშნული დარღვევის დაფიქსირებისას სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში კი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - ,,0'';

10. აკრძალულია მასწავლებლისათვის/დამკვირვებლისათვის, საგამოცდო დავალების შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, განმეორებისას კი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - ,,0";

11. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე იკრძალება კალკულატორის ან/და კოდექსის გადაცემა სხვა სტუდენტისათვის. ეს ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და ორივე გამოსაცდელი გაფრთხილების შემდეგ მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდებათ შეფასება - ,,0";

12. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს მასწავლებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის, გამოცდიდან მისი მოხსნისა და შეფასების გაუქმების შესახებ;

13. საგამოცდო ნაშრომში დაფიქსირებული განყენებული და საგანთან შეუსაბამო მოსაზრებები არ შეფასდება. საგამოცდო ნაშრომი, რომელსაც დაეწერება სახელი, გვარი ან რაიმე სახის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც დაკავშირებული არ იქნება საგამოცდო დავალებასთან, არ შეფასდება (ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2012 წლის 25 მაისის №88 დადგენილებით);

14. ლექტორი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი საგამოცდო წერითი დავალება შეაფასოს უნივერსიტეტშივე შემდეგი ვადებით (ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2012 წლის 25 მაისის №88 დადგენილებით).

მუხლი 3. გამოცდის ხანგრძლივობა

1. შუალედური/დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობა წერითი გამოკითხვის შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 2, ხოლო ზეპირი გამოკითხვის შემთხვევაში – 5 ასტრონომიულ საათს. საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექტორს უფლება აქვს განსაზღვროს გამოცდის ხანგრძლივობა (ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2012 წლის 25 მაისის №88 დადგენილებით);

2. რამდენიმე კომპონენტისაგან შემდგარი შუალედური/დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში, კომპონენტებს შორის შესვენება არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს;

3. შუალედური/დასკვნითი გამოცდის დაწყების და დამთავრების დრო უნდა ეცნობოს სტუდენტებს და დაიწეროს დაფაზე;

4. მუშაობის დაწყება შეიძლება საგამოცდო მასალის დარიგებისა და საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ. დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში კი მოიხსნება გამოცდიდან.

5. დაგვიანების შემთხვევაში (საგამოცდო მასალის დარიგების შემდეგ გამოცხადება) სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება;

6. მასწავლებელი/დამკვირვებელი ვალდებულია 15 წუთით ადრე აცნობოს აუდიტორიას გამოცდის ამოწურვამდე დარჩენილი დრო;

7. წერითი გამოცდისას შესაძლებელია საგამოცდო ოთახის დროებით დატოვება. იგი საგამოცდო დროს არ დაემატება. ორი გამოსაცდელი ერთდროულად ვერ დატოვებს საგამოცდო ოთახს.

8. წერითი გამოცდისათვის განსაზღვრული დროის ამოწურვისთანავე სტუდენტმა უნდა ჩააბაროს ნაწერი დამკვირვებელს; აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში ნაშრომი აღარ მიიღება.

9. ზეპირი გამოცდის შემთხვევაში საგამოცდო მასალა ერთდროულად გაიცემა მხოლოდ ოთხ სტუდენტზე. მოსაფიქრებელი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20, ხოლო გამოსაცდელი დრო 15 წუთს.

10. საგამოცდო დავალების კომპონენტებს შორის ქულები შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს:

ა) შემოსახაზი ტესტის თითოეული კითხვა– 0,5 ქულა;

ბ) „ღია კითხვა“ – 1-დან 3 ქულამდე;

გ) კაზუსი	– 5-დან 10 ქულამდე;
დ) თემა	– 5-დან 10 ქულამდე;

მუხლი 4. საგამოცდო დავალება

1. წერითი გამოკითხვის შემთხვევაში შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალება არის ანონიმური. სტუდენტმა მხოლოდ საგამოცდო დავალების თავფურცელზე უნდა მიუთითოს საკუთარი სახელი და გვარი. გამოცდის დასრულების შემდეგ ნაშრომი იშიფრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის/დეკანის მოადგილის/დამკვირვებლის მიერ და გადაეცემა საგნის მასწავლებელს გასასწორებლად.

მუხლი 5. გამოცდის შედეგის გასაჩივრება

1. ლექტორი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალების შედეგები გააცნოს სტუდენტებს;

2. შუალედური/დასკვნითი გამოცდების შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს დავალების შეფასებასთან დაკავშირებით წარადგინოს პრეტენზია;

3. სტუდენტის პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლექტორი წერს მოხსენებით ბარათს დეკანის სახელზე, სადაც ითხოვს სტუდენტის საბოლოო ნიშნის შეცვლას. საჭიროების შემთხვევაში, დეკანს უფლება აქვს ლექტორის მოსაზრებები გადაამოწმოს კომისიური წესით. დადებითი რეზოლუციის შემთხვევაში, სტუდენტის საბოლოო შეფასება იცვლება და იმავე დღეს გაიცემა შეფასების ახალი უწყისი.

4. პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს ოფიციალურად მიმართოს რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში;

5. „საჩივრის განხილვის მიზნით, სააპელაციო კომისია რექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის შემადგენლობით, ვალდებულია 3 დღის ვადაში შეისწავლოს და განიხილოს პრეტენზია. კომისიას უფლება აქვს შეფასება შეცვალოს ან დატოვოს ძალაში. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ ფაკულტეტის დეკანს. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება (ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2012 წლის 25 მაისის №88 დადგენილებით);

მუხლი 6. გამოცდების ჩატარებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები

გამოცდის მონიტორინგს ახორციელებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი, მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახური, გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრი, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი, დარგობრივი დეპარტამენტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და უფლებამოსილი დამკვირვებელი პირი, რომელიც შეირჩევა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისაგან (ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს 2012 წლის 25 მაისის №88 დადგენილებით).